

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №202
(ოქმი №192)

თბილისი

2011 წლის 23 მაისი

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

1. “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის “ბ“ პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის წარდგინება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის №108 (ოქმი №68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3.1. მაუწყებლის სტრუქტურაა:

- სამეურვეო საბჭო და მისი აპარატი;
- გენერალური დირექტორი;
- საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დეპარტამენტი;
- პროდიუსინგის დეპარტამენტი;
- რადიომაუწყებლობის მართვის დეპარტამენტი;
- ფინანსური დეპარტამენტი;
- ტექნიკური დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- წარმოების სამსახური;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- მარკეტინგის სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური;
- მონიტორინგის სამსახური.

ბ) დებულების მე-3 პუნქტის 3.2.; 3.3.; 3.4. და 3.6. ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს.

გ) დებულების მე-3 პუნქტის 3.5. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3.5. გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მისი არყოფნის შემთხვევაში გენერალური დირექტორის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს მაუწყებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.“


დ) დებულების მე-3 პუნქტის 3.7. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3.7. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორის წინაშე. შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურების ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან გენერალური დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წინაშე.“


ე) დებულების მე-5 პუნქტის 5.3.6. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“5.3.6. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, მაუწყებლის თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურების ხელმძღვანელებს გენერალური დირექტორი ნიშნავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.”


2. დაევალოს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის ან 2011 წლის 18 ივლისის სხდომაზე წარმოადგინოს დოკუმენტურად დასაბუთებული (მათ შორის, ფინანსურად დასაბუთებული) ინფორმაცია სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის მუშაობის ეფექტურობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეურვეო საბჭო განიხილავს საკითხს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტრუქტურაში და შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.


სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:


ლევან გახელაძე 


სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:


მამუკა ფაჩუაშვილი 

ნოდარ სარჯველაძე 

დავით კანდელაკი 


ემზარ გოგუაძე 


ზურაბ დავითაშვილი 

ავთანდილ ანთიძე 

ოთარ კობერიძე

ნინო დანელია

ბაკურ სულაკაური 

შორენა შავერდამილი 

გიგა ნასარიძე 

დავით აფრასიძე

გიორგი მელაძე